საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნ. ირბახის ქუჩა #17-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #01.17.01.050.029), #2 შენობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

❖ გაითვალისწინეთ:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ან/და მშენებლობის დროს, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

❖ საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- პირობითი აღნიშვნები;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ჭრილები;
- შენობა-ნაგებობის ფასადები;
- კიბეების და პანდუსების დეტალური ნახაზები;
- ფასადისა და სახურავის დეტალური ნახაზები;
- შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

❖ სარჩევი:

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპების შეფასება ---------- 3

ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი საშუალებების შეფასება ---------- 7

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 9

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 10

შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 11

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 12

სახურავის ანაწყობების შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ნ. ირბახის ქუჩა #17-ში, ნაკვეთი #01.17.01.050.029. საპროექტო მიწის ნაკვეთზე 2011 წლის 25 მაისს გაიცა #710 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე. აღნიშნულ ბრძანებაში 2018 წლის 09 აგვისტოს #4097183 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ცვლილების საფუძველზე დაფიქსირდა ამჟამინდელი საკადასტრო ერთეული. ასევე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება დამატებით იქნა შეტანილი 2019 წლის 24 აპრილს #4475319 ბრძანების საფუძველზე. 2019 წლის 11 ოქტომბერს #4709318 ბრძანების საფუძველზე კი შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2021 წლის 21 დეკემბერს #5734121 ბრძანების საფუძველზე შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული დოკუმენტაცია. საბოლოო კორექტირება განხორციელდა 2022 წლის 12 აგვისტოს, #6078248 ბრძანების საფუძველზე.

ამ ეტაპზე დაგეგმილია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება. კორექტირება მდგომარეობს შედეგში:

<u>გეგმები:</u>

- -3,04 ნიშნულზე 1 ღერძის მომიჯნავედ წურწუმიას ქუჩის მხრიდან მოეწყო ლითონის კიბე რომელიც აკავშირებს 0,00 ნიშნულს -3,04 ნიშნულთან.
- -3,04 ნიშნულზე 1-3 ღერძებს შორის შეიცვალა კომერციული ფართის გეგმარება და ფუნქცია.
- -3,04 ნიშნულზე 8-9 და C-D ღერძებს შორის, ლიფტის ტამბურში შემცირდა ვერტიკალური საინჟინრო შახტის ზომა რომელიც შენობაში მთელ სიმაღლეზე მიუყვება.
- 0,00 ნიშნულზე 1-2 ღერძებს შორის შეივცალა კომერციული ფართის გეგმარება და ფუნქცია.
- 0,00 ნიშნულზე დედოფლისწყაროს ქუჩის მხრიდან 2 და A ღერძის მომიჯნავედ დაკორექტირდა საფეხურების რაოდენობა.
- 0,00 ნიშნულზე 2-9 ღერძებს შორის შეიცვალა კომერციული ფართის გეგმარება.
- 0,00 ნიშნულზე 9-11 ღერძებს შორის გაერთიანდა ორი კომერციული ფართი და შეიცვალა გეგმარება.
- 0,00 ნიშნულზე C-D და 6-11 ღერძებს შორის შეიცვალა კეთილმოწყობის არეალები, კერძოს შეიცვალა საფეხურების დიზაინი.
- 0,00 ნიშნულზე D ღერძის გარეთ 8-9 ღერძებს შორის შეცვლილია კიბის დიზაინი.
- +3,90; +7,20; +10,50 ნიშნულზე 1 ღერძის მომიჯნავედ, წურწუმიას ქუჩის მხრიდან გაუწმდა ლითონის ვერტიკალური ჟალუზები.
- +17,10 ნიშნულზე A-B და D ღერძებზე დაზუსტდა გარე კედლების სისქე რამაც გამოიწვია სასარგებლო ფართების კორექტირება.
- +17,10 ნიშნულზე 1-2 და B-C ღერძებს შორის, ასევე 5 და C-D ღერძებს შორის დაზუსტდა კონსტრუქციული სვეტების მდებარეობა.
- +17,10 ნიშნულზე A-B ღერძებს შორის მცირედით დაკორექტირდა აივნების კონფიგურაცია და საზაფხულო ფართები.

- +17,10 ნიშნულზე 2-3 და A-B ღერძებს შორის დაკორექტირდა საცხოვრებელი ფართის ფრაგმენტი, რაც გულისხმობს გეგმარების კორექტირებას და საზაფხულო ფართის გაჩენას.
- +17,10 ნიშნულზე A-B ღერძებს შორის 5 და 7 ღერძის მომიჯნავედ დაკორექტირდა კედლის მდებარეობა.
- +17,10 ნიშნულზე 1-2 და A-B ღერძებში დამატებით მოწყობილია შახტა, სახურავში.
- +20,40 ნიშნულზე B და C-D ღერძებს შორის დაზუსტდა გარე კედლების სისქე რამაც გამოიწვია სასარგებლო ფართების კორექტირება.
- +20,40 ნიშნულზე A-B ღერძებს შორის მცირედით დაკორექტირდა აივნების კონფიგურაცია და საზაფხულო ფართები.
- +23,52 ნიშნულზე 2-3 ღერძებს შორის დაზუსტდა სახურავზე ასასვლელი კიბის მდებარეობა და შეიცვალა გადახურვის და კედლის მასალა. ასევე 8-9 ღერძებს შორის დაზუსტდა სახურავზე ასასვლელი კიბის გადახურვის და კედლის მასალა.
- შენობაში შეიცვალა, დაზუსტდა ვერტიკალური საინჟინრო შახტების ზომები. გარკვეული შახტა გაუქმდა.
- შენობაში დაზუსტდა კონდიცირების გარე აგრეგატების მდებარეობა.

<u>ფასადები:</u>

- D-A ფასადზე C-B ღერძებს შორის +3,90 ნიშნულიდან +13,80 ნიშნულამდე შეიცვალა, გაუქმდა ვერტიკალური ლითონის ჟალუზები.
- D-A ფასადზე D ღერძის გარეთ +3,90 ნიშნულის ქვემოთ დაკორექტირდა ვერტიკალური წყალმიმღების მიმართულება, ფორმა.
- D-A ფასადზე D-C ღერძებს შორის დაკორექტირდა ოთხი ცალი ვიტრაჟის მასალა, კერძოდ ვიტრაჟის სამივე სეგმენტში მოეწყობა მინა.
- D-A ფასადზე C-B ღერძებს შორის +0,00 ნიშნულის ქვემოთ მოეწყო ლითონის კიბე.
- A-D ფასადზე D ღერძის გასწვრივ დაზუსტდა ლითონის კონსტრუქციის დიზაინი.
- 11-1 ფასადზე მცირედით შეიცვალა კონდიცირების გარე აგრეგატების შეფუთვის სიგანე.
- 11-1 ფასადზე მოეწყო მცირე ზომის ვერტიკალური წყალსადენი მილები, რომელიც განსაზღვრულია გარე აგრეგატებისათვის.
- 11-1 ფასადზე 11-10 ღერძებს შორის დაკორექტირდა ვიტრაჟის დიზაინი, კერძოდ ვიტრაჟის ზედა ნაწილის მცირე ფრაგმენტში მოეწყო ცხაურა.
- 11-1 ფასადზე 10-9 ღერძებს შორის მოწყობილია საჰაერო მილები რომლებიც უკავშირდება შახტას.
- 11-1 ფასადზე 3-2 ღერძებს შორის, კიბის უჯრედის ნაწილში მოწყობილია ლითონის ვერტიკალური ცხაურა.
- 11-1 ფასადზე 2-1 ღერძებს შორის +0,00 ნიშნულზე მცირედით შეცვლილია ვიტრაჟის დიზაინი.
- 11-1 ფასადზე 4-2 ღერძებს შორის ფასადზე, სიღრმეში 2 ღერძის მომიჯნავედ მოწყობილია ვერტიკალური საჰაერო მილი.
- 1-11 ფასადზე 3-4 ღერძებს შორის +3,90 და +10,50 ნიშნულებზე შეცვლილია კედლის დიზაინი.
- 1-11 ფასადზე 3-4 ღერძებს შორის +17,10 ნიშნულზე გაუქმებულია დეკორატიული კედელი.
- 1-11 ფასადზე 6-7 ღერძებს შორის 0,00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის დიზაინი და მოწყობილია ვერტიკალური კედელი ლითონის ცხაურის სახით.

- 1-11 ფასადზე 8-9 ღერძებს შორის 0,00 ნიშნულზე, მოწყობილია ლითონის ცხაურა.
- 1-11 ფასადზე +17,10 ნიშნულის ზემოთ სახურავზე 2 და 8 ღერძების მომიჯნავედ დამატებულია შახტები.
- 1-11 ფასადზე +17,10 ნიშნულის ზემოთ სახურავზე 7 ღერძების მომიჯნავედ შეცვლილია შახტის სიმაღლე.
- 1-11 ფასადზე შეცვლილია სამ სეგმენტიანი ვიტრაჟების მასალა, კერძოდ სამივე სეგმენტი იქნება მინა.

საპროექტო მიწის ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება ალ. წურწუმიას ქუჩა, აღმოსავლეთით დედოფლისწყაროს ქუჩა, დასავლეთით ნაწილობრივ რეგისტრირებული (#01.17.01.050.017) საკადასტრო ერთეული და ნაწილობრივ საზოგადოებრივი ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.17.01.050.028.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია #2 ნუმერაციის, მრავალბინიანი შენობის მშენებლობა. მიწის საკონტროლო დონიდან შენობის სიმაღლე უტოლდება 25.8 მეტრს. აქვე აღსანიშნავია, რომ მიწის საკონტროლო დონის განსაზღვრა განხორციელდა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.

საპროექტო შენობის სართულიანობა განსაზღვრულია 8 სართულის სახით (7 მიწის დონის ზედა და 1 მიწის დონის ქვედა სართულით). შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა სართული (-3.04 ნიშნულზე) - შემოზღუდული ავტოსადგომი და რესტორნის მომსახურე დამხმარე ფართი 1-2 ღერძებში.
- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - რესტორნები და მათი მომსახურე დამხმარე სივრცეები.
- მიწის დონის ზედა II – VII სართულები (+3.90 - +20.40 ნიშნულებზე) - საცხოვრებელი ბინები.

საპროექტო შენობა ნაწილობრივ მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს შენობის ყველა სართულს. სართულებზე გადაადგილება ხორციელდება ლიფტის საშუალებით, რომლის კაბინის გაბარიტული პარამეტრები აკმაყოფილებს ICC A117-ის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელ ერთეულებში (ბინებში), წესებით განსაზღვრული მისაწვდომობა ამ ეტაპისათვის არ არის სავალდებულო და მისაწვდომობა დასაშვებია უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში.

შენობის ფასადები ნაწილობრივ შეილესება და შეიღებება, ნაწილობრივ მოპირკეთდება აგურის ფილებით, HPL ფანელებით, ფიბროცემენტის ფილებით და დაჟანგული მეტალის ფაქტურის პანელებით.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფები შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

- პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

✓ **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ერთეულები +3.90 - +20.40 ნიშნულებზე) - შეესაბამება 310.4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება მრავალბინიანი სახლები;

✓ **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** (რესტორნები და მათი მომსახურე სამზარეულოები +0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 303.3 პუნქტს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისა და კვებისთვისაა განკუთვნილი.

✓ **მცირე საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-2** (რესტორნის მომსახურე ლუდსახარში +0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 306.3 პუნქტს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს მიკუთვნებული საქარხნო-სამრეწველო გამოყენებები, სადაც მზადდება ან იწარმოება ისეთი არაწვადი მასალები, რომლებიც მოპირკეთების, შეფუთვის ან დამუშავების დროს არ ქმნის ხანძრის წარმოქმნის მნიშვნელოვან საფრთხეს.

✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი -3.04 ნიშნულზე და საწყობი - 3.04 და +0.00 ნიშნულებზე) - შეესაბამება 311.3 პუნქტს.

✓ **საქმიანი ჯგუფი სქ** (გასახდელები -3.04 და 0.00 ნიშნულებზე, ადმინისტრაციის ოთახი -3.04 ნიშნულზე) - შეესაბამება 304.1 პუნქტს, რომელიც მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის.

- რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებს, პროექტის მიხედვით მინიჭებული ფაქტორები შესაბამისობაშია 1004.1.2 ცხრილთან:

✓ **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** ----------**18.6 მთლიანი**
სივრცის დანიშნულება - საცხოვრებელი

✓ **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** ----------**1.4 სუფთა**
სივრცის დანიშნულება - რესტორანის დარბაზი

✓ **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** ----------**18.6 მთლიანი**
სივრცის დანიშნულება - რესტორანის მომსახურე სამზარეულო

- ✓ **საქმიანი ჯგუფი სქ ----------4.7 მთლიანი**
  სივრცის დანიშნულება - გასახდელი (მონაცემი მოყვანილია 2018 წლის IBC-ზე დაყრდნობით)

- ✓ **საქმიანი ჯგუფი სქ ----------9.3 მთლიანი**
  სივრცის დანიშნულება - ადმინისტრაციის ოთახი

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-2 ------ 9.3 მთლიანი**
  სივრცის დანიშნულება - ლუდსახარში

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2----------18.6 მთლიანი**
  სივრცის დანიშნულება - ავტოსადგომი

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2----------46.5 მთლიანი**
  სივრცის დანიშნულება - სათავსო

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია 8 სართულიანი (7 სართული მიწის დონის ზედა, ხოლო 1 სართული მიწის დონის ქვედა) შენობის მშენებლობა.

- იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთი არ მდებარეობს სწორ რელიეფზე, შენობის სიმაღლე გამოთვლილია შენობიდან 1.8მ-ით დაშორებულ წერტილებს შორის მდებარე მიწის დონის ფართობის უდაბლესი წერტილების საფუძველზე და აღნიშნული გამოთვლის მიხედვით, აღებულია მიწის დონის საკონტროლო სიბრტყე, საიდანაც შემდგომ დადგენილია შენობის სიმაღლე, რომელიც მიწის საკონტროლო დონიდან შეადგენს 25.8 მეტრს.

- შენობაში გათვალისწინებულია სც-2, თვ-2, სქ, სმ-2 და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობები.

- ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საპროექტო შენობა, მისი კონსტრუქცის ტიპის (I–B) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს. აღნიშნული თაობაზე და არქიტექტურული პროექტის თაობაზე დეტალური ინფორმაცია ასახულია წესების ანალიზის 503 ცხრილში.

3. კონსტრუქციული ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი (I-B), შენობის სიმაღლის, სართულიანობის და სართულზე დაკავებულობის ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი უნდა განისაზღვროს 601-ე ცხრილის შესაბამისად, შემდეგი სახით *(ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებული მითითებები იხილეთ ქვემოთ მოცემულ შენიშვნა-რეკომენდაციებში):*

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2სთ.
გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- ---------- 2სთ. (705.11 მე-3 გამონაკლისის შესაბამისად)

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით *(ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებული მითითებები იხილეთ ქვემოთ მოცემულ შენიშვნა-რეკომენდაციებში):*

ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ.)	დაკავებულობის ყველა ჯგუფისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა (საათებში)
1 - 11 ღერძებში (0.00, +3.90, +7.20, +10.50 ნიშნულებზე)	5.2 – 5.3	1 სთ.
1 - 11 ღერძებში (+13.80 ნიშნულზე)	5.2 – 7.6	1 სთ.
1 - 11 ღერძებში (+17.10 ნიშნულზე)	7.8 – 9 <	1 სთ.
1 - 11 ღერძებში (+20.40 ნიშნულზე)	9 <	0 სთ.
11 - 5 ღერძებში (0.00 - +20.40 ნიშნულებზე)	9 <	1 სთ. (705.8.5 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად)
5 - 1 ღერძებში (0.00, +3.90, +7.20, +10.50, +13.80, +17.10 ნიშნულებზე)	6.8 – 9<	1 სთ.
5 - 1 ღერძებში (+20.40 ნიშნულზე)	9 <	0 სთ.

A - C ღერძებში (0.00, +3.90, +7.20, +10.50, +13.80 ნიშნულზე)	6.3 – 6.7	1 სთ.
C - D ღერძებში (0.00, +3.90, +7.20, +10.50, +13.80 ნიშნულზე)	9 <	2 სთ. (პროექტის მიხედვით)
A - C ღერძებში (+17.10 ნიშნულზე)	6.4 – 6.7	1 სთ.
C - D ღერძებში (+17.10 ნიშნულზე)	9 <	2 სთ. (პროექტის მიხედვით)
B - C ღერძებში (+20.40 ნიშნულზე)	6.5 – 6.7	1 სთ.
C - D ღერძებში (+20.40 ნიშნულზე)	9 <	2 სთ. (პროექტის მიხედვით)
D – A ღერძებში	9 <	0 სთ.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *I ტიპის კონსტრუქციებში შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს.*

- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი ASTM E 119-ში ან UL263-ში მოცემული ტესტის პროცედურების ან ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით ან პროცედურით უნდა განისაზღვროს:*
    1. *წყაროებში დოკუმენტირებული ცეცხლმედეგობის დაგეგმარება;*
    2. *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები, განსაზღვრული 721-ე ქვეთავის მიხედვით;*
    3. *გამოთვლები 722-ე ქვეთავის მიხედვით;*
    4. *საინჟინრო ანალიზი, რომელიც ეფუძნება ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების დაგეგმარების ურთიერთშედარებას, როგორც განსაზღვრულია ASTM E 119-ში ან UL 263-ში გაწერილი შემოწმების პროცედურების მიხედვით;*

  ასევე გაითვალისწინეთ, რომ თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს.

4. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს -3.04 ნიშნულზე შემოზღუდულ ავტოსადგომს.

- ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე თითოეული იატაკის დონიდან თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.15 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 406.4.1-ე პუნქტის მოთხოვნას.

- შემოზღუდული ავტოსადგომი უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, რაც აკმაყოფილებს 406.6.2 პუნქტის მოთხოვნას.

- იმის გათვალისწინებით, რომ ავტოსადგომი მდებარეობს სხვა დაკავებულობების ქვემოთ, აღნიშნული ავტოსადგომის სივრცე უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, ასევე ავტოსადგომი გზა-კიბეებისგან და ლიფტებისგან გამიჯნულია ვესტიბიულით და ტამბურით, თანახმად 903.2.10 პუნქტის „1“ გამონაკლისისა.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 პუნქტის მოთხოვნებს.

- შშმ პირთათვის გათვალისწინებული ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები ACC A117.1 სტანდარტს.

- ვინაიდან ავტოსადგომის დონეზე გათვალისწინებული ავტომობილის სადგომების რაოდენობა არ აღემატება 50-ს, დასაშვებია ასეთი ავტოსადგომის მომსახურე სივრცეს ემსახურებოდეს ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელიანი საავტომობილო გზა, თანახმად 406.9.4.7 პუნქტის გამონაკლისისა.

- ზემოაღნიშნულ პუნქტში გათვალისწინებული 406.9.4.7 გამონაკლისით დასაშვები გზის სიგანე და საერთო საავტომობილო ორმხრივი გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 პუნქტებით გათვალისწინებულ ნორმებს.

- საავტომობილო გზის შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (ყველა ნაწილში) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- სამანქანე პანდუსი აკმაყოფილებს 406.9.4.4 პუნქტის მოთხოვნებს.

- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *ავტოსადგომების იატაკის ზედაპირი უნდა იყოს ბეტონის ან მისი მსგავსი არაწვადი მასალის, რომელსაც არ აქვს შეწოვის უნარი.*
- *ავტომობილებისა და სხვა ავტომობილების დასაყენებლად განკუთვნილი იატაკის ფართობები დაქანებული უნდა იყოს, რომ სითხე საწრეტისკენ ან ავტომობილების მთავარი შესასვლელი გზა-კარისკენ ადვილად გადაადგილდეს.*

5. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან (აივნის კონსოლური

ნაშვერი წარმოადგენს რკინაბეტონის ფილას, 2 საათიანი ცეცხლემედეგობით), შესაბამისად აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.

- ვინაიდან საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი არის I კატეგორიის, კედლებიდან გამომავალი ნაშვერები არაწვადი მასალისაა, რაც შეესაბამება 705.2.1 პუნქტის მოთხოვნას.

- კედლისა და ღიობის აუცილებელი დამცავების, ნაშვერებისა და სახურავის ბურულისადმი მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით, მიწის ერთ ნაკვეთზე მდებარე შენობებს შორის გავლებულია წარმოსახვითი საზღვარი, რაც აკმაყოფილებს 705.3 პუნქტის მოთხოვნას.

- ღიობების შვეული გამიჯვნა აკმაყოფილებს 705.8.5 პუნქტის მოთხოვნას, კერძოდ ღიობები გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ალის ზღუდარებით, რომლის კონსოლური ნაშვერები აღემატება 0.76 მეტრს და ვერტიკალურად 90 სმ-იანი, 1 საათიანი ცეცხლმედეგობის გარე კედლით. რაც შეეხება კიბის უჯრედის გარე კედელში გამოჭრილ ღიობებს, რომელიც შვეულად არ არის დაშორებული 0.90 მეტრის გარე კედლით, აღნიშნული დასაშვებად მიგვაჩნია, ვინაიდან კიბის უჯრედი თავად წარმოადგენს შვეულ ღიობს (და არა კონკრეტულ სართულს), ხოლო ღიობების შვეული გამიჯვნისადმი მოთხოვნა ვრცელდება სართულებს შორის, სართულიდან სართულზე ცეცხლის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

- შენობას არ გააჩნია პარაპეტი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გარე კედლები მთავრდება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე სახურავის ანაწყობთან, აღნიშნული დასაშვებია 705.11 პუნქტის მე-3 გამონაკლისით.

- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 პუნქტების მოთხოვნას.

- მიუხედავად იმისა, რომ კიბის უჯრედები აკმაყოფილებს გარე კიბისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებს, კიბის უჯრედების კონფიგურაციის გათვალისწინებით (კიბის უჯრედები მხოლოდ გარე კედლის მხარეს არის ღია, დანარჩენ არეალებში კი შეჭრილია შენობის მოცულობაში) უმჯობესად ჩავთვალეთ გამოგვეყენებინა შიგა-გასასვლელის კიბის უჯრედებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები; შესაბამისად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 პუნქტების მოთხოვნას.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

- რაც შეეხება 0.00 ნიშნულზე განთავსებულ რესტორანსა და მის მომსახურე ფართებს, აღნიშნული სივრცეები ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული და ასეთი მთლიანი ფართისათვის გამოიყენება მე-9 თავში გაუმიჯნავი დაკავებულობებისთვის

განსაზღვრული ყველაზე მკაცრი/შემზღუდველი დებულებები, თანახმად 508.3.1 ქვეთავისა.

- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი დასაშვებია აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 პუნქტისა.

- გასათვალისწინებელია, რომ შიგა გასასვლელის გზა-კიბეების მომსახურე ღიობების ფართობი ან/და პროცენტულობა არ იზღუდება, თანახმად 707.6 პუნქტის მე-2 გამონაკლისისა.

- საცხოვრებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც შეესაბამება 708.1 და 420.2 პუნქტების მოთხოვნებს. ასეთი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, თანახმად 708.3 პუნქტისა.

- ბინების მომსახურე დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.1 პუნქტის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ლიფტებს არ ემსახურება შემოზღუდული ფოიე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ლიფტის შახტა არის დაწნევადი, აღნიშნული დასაშვებია 713.14.1 პუნქტის მე-6 გამონაკლისით. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ლიფტის ფოიეები გათვალისწინებულია შემოზღუდული ავტოსადგომის დონეზე. ასეთი ფოიეს შემომზღუდავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს და ასეთ კედელში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 20 წუთით. თავის მხრივ კი ფოიეს კარის ანაწყობი NFPA 252-ის ან UL 10C-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს ნაკადის ზემოქმედებით შემოწმების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ლიფტის ფოიეს შემომზღუდავში გამავალი არხები და ჰაერცვლის ღიობები 717.5.4.1 ქვეთავის შესაბამისად უნდა იქნეს დაცული.

- კარის ღიობების ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

- იმის გათვალისწინებით, რომ „2-3“ ღერძებში განთავსებული გზა-კიბის გარე კედელში ამოჭრილია დაუცველი ღიობები, შენობის სხვა ნაწილები ასეთი ღიობების მიმართ კი განლაგებულია 180 გრადუსზე ნაკლებგრადუსიანი კუთხით, ასეთი ნაწილების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1 საათით; რაც შეეხება „8-9“ ღერძებში განთავსებულ კიბეს, ასეთი კიბის გარე კედლები 180 გრადუსით ნაკლებგრადუსიან კუთხეებთან მიმართებაში დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხით. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 1022.7 პუნქტის მოთხოვნას.

- სათადარიგო ელექტრომომარაგებისათვის განკუთვნილი გენერატორი მოთავსებულია #1 შენობის ნაწილში, რომელიც ასევე განკუთვნილია #2 შენობის მეორადი ელ.

მომარაგებისათვის. ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასეთი ოთახის მიმართ დაცულია, რაც შესაბამისი სახით ასახულია #1 შენობის საპროექტო დოკუმენტაციაში.

- სახანძრო ტუმბოს ოთახი მოთავსებულია #1 შენობის ნაწილში, რომელიც ასევე განკუთვნილია #2 შენობის ავტოსაშხეფი სისტემისათვის. ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასეთი ოთახის მიმართ დაცულია, რაც შესაბამისი სახით ასახულია #1 შენობის საპროექტო დოკუმენტაციაში.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი ASTM E 119-ში ან UL263-ში მოცემული ტესტის პროცედურების ან ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით ან პროცედურით უნდა განისაზღვროს: 1. წყაროებში დოკუმენტირებული ცეცხლმედეგობის დაგეგმარება; 2. შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები, განსაზღვრული 721-ე ქვეთავის მიხედვით; 3. გამოთვლები 722-ე ქვეთავის მიხედვით; 4. საინჟინრო ანალიზი, რომელიც ეფუძნება ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების დაგეგმარების ურთიერთშედარებას, როგორც განსაზღვრულია ASTM E 119-ში ან UL 263-ში გაწერილი შემოწმების პროცედურების მიხედვით; ასევე გაითვალისწინეთ, რომ თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს.*

6. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

✓ **ავტოსაშხეფი სისტემა:**

- საპროექტო შენობის საცხოვრებელი ჯგუფი არ არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 903.2.8 პუნქტის 1-ლი გამონაკლისით, რომლის თანახმად სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელ შენობას, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, არ ესაჭიროება საშხეფით უზრუნველყოფა.

- ავტოსაშხეფი სისტემა დამონტაჟებულია თავშეყრის ჯგუფის ფარგლებში, რაც აკმაყოფილებს 903.2.7.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ავტოსაშხეფი სისტემა სწ2 ჯგუფის შემოზღუდული ავტოსადგომისათვის სავალდებულოა ისეთ ფართობებზე, სადაც შემოზღუდული ავტოსადგომი სხვა ჯგუფების ქვემოთ მდებარეობს. შესაბამისად შემოზღუდული ავტოსადგომი დაცულია საშხეფი სისტემით და მასზე გავრცელებულია 903.2.10 პუნქტის მე-3 გამონაკლისი, რომლის თანახმად ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მხოლოდ შემოზღუდული ავტოსადგომი, როდესაც შემოზღუდული ავტოსადგომი წესების შესაბამისად შემოზღუდული გზა-კიბის მეშვეობით

პირდაპირ უკავშირდება მის ზემოთ მდებარე სხვა ჯგუფებს და შემოზღუდულ გზა-კიბეს აქვს დამოუკიდებლად განიავებადი წინამო (ფოიე/ვესტიბული) შემოზღუდული ავტოსადგომის დონეზე.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *საშხეფი სისტემა NFPA 13-ის მიხედვით უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს, თანახმად 903.3.1.1 პუნქტისა. თუმცა 102.3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.*

✓ **ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა:**

- კომერციული დანიშნულების სამზარეულოების გამწოვი მოწყობილობა და არხების სისტემა დაცული უნდა იყოს შესაბამისი ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემით. აღნიშნული სავალდებულოდ გათვალისწინდეს საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

✓ **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

- 905.3.1 პუნქტის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, ან თუ ყველაზე დაბლა მდებარე სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით დაბლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე მაღალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

- მილდგარების სახელოს მისაერთებლები განთავსებულია გზა-კიბეების ბაქნებზე <u>(თუმცა მსგავსი სახით მილდგარების განთავსების საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო სამსახურთან)</u> და ისეთი განლაგებით, რომ 30 მეტრის სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან, 9,0 მეტრის საზღვრებში მოექცეს შენობის ყველა ნაწილი.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დამონტაჟდეს NFPA 14-ის შესაბამისად; თუმცა 102.3 პუნქტის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.*

✓ **ხელის ცეცხლმაქრები:**

- გარდა სც2 ჯგუფისა, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა დაკავებულობაში, თანახმად 906.1 პუნქტისა. რაც შეეხება სც2 ჯგუფს, ცეცხლმაქრების მონტაჟი აღნიშნული ჯგუფისათვის სავალდებულოა მშენებლობის პროცესში ნაგებობის თითოეულ იატაკზე.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *პორტატული ცეცხლსაქრობი უნდა შეირჩეს და მოეწყოს NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა 102.3 პუნქტის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.*

✓ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- 907.2.9.1 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე სც2 ჯგუფის დაკავებულობებს ემსახურება სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემის გააქტიურებისას ავტომატურად უნდა გააქტიურდეს დამკავებელთა შეტყობინების სისტემა.

- საძინებელ ფართობებზე და დუპლექსის ორივე დონეზე მოეწყობა კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.2 პუნქტის მოთხოვნას.

- საერთო და საჯარო გამოყენების ფართობებზე დამონტაჟებულია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები.

- კვამლაღმომჩენები მოწყობილია ყველა მუდმივად დაუკავებელ სივრცეში, თანახმად 907 ქვეთავისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *სახანძრო განგაშის სისტემა NFPA 72-ის მიხედვით უნდა დამონტაჟდეს, თანახმად 907.2 პუნქტისა. ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად. თუმცა 102.3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.*

✓ **კვამლის საკონტროლო სისტემები:**

- ლიფტის შახტები, რომელიც არ გადის ლიფტის ფოიეში, უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია 909.21 პუნქტის მიხედვით.

- კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციითაა აღჭურვილი სართულების მომსახურე დერეფნები და შემოზღუდული ავტოსადგომი.

  კვამლის მექანიკური სისტემების დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს 909 ქვეთავის მოთხოვნები.

✓ **სახანძრო ტუმბოები:**

- #2 შენობას მოემსახურება #1 შენობაში განთავსებული სახანძრო ტუმბოები. ტუმბოებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები ჩაშიფრულია #1 შენობის დასკვნით ნაწილში.

<u>გასათვალისწინებელი საკითხები:</u>

- ***არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.***

- ***უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.***

7. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობა, თავისი სართულიანობის, დაკავებულობის დატვირთვის და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის მიხედვით, წესების 1021.2 ცხრილის შესაბამისად საჭიროებს ორი გასასვლელი გზა კიბის მოწყობას, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

- მიუხედავად იმისა, რომ კიბის უჯრედები აკმაყოფილებს გარე კიბისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებს, კიბის უჯრედების კონფიგურაციის გათვალისწინებით (კიბის უჯრედები მხოლოდ გარე კედლის მხარეს არის ღია, დანარჩენ არეალში კი შეჭრილია შენობის მოცულობაში) უმჯობესად ჩავთვალეთ გამოგვეყენებინა შიგა-გასასვლელის კიბის უჯრედებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები. შესაბამისად შენობის აღნიშნულ ნაწილს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. აღნიშნული გზაკიბეების შემომზღუდავი კედლების ცეცლმედეგობა უტოლდება მინიმუმ 2 საათს, რაც აკმაყოფილებს 1022.2 პუნქტის მოთხოვნას.

- კიბის უჯრედებისათვის უზრუნველყოფილია ბუნებრივი განიავება, რაც შეეხება - 1 სართულს, ამ დონეზე სავალდებულოდ განისაზღვრა კიბის ტამბურის მექანიკურად განიავების საკითხი.

- ყველა სართულზე, სართულიდან გასასვლელი კარის ღიობები ერთმანეთისგან გამიჯნულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 პუნქტის მოთხოვნას.

- შენობაში გათვლისწინებული კიბეებიდან, ორივე კიბე შენობიდან გამოსასვლელს უკავშირდება პირდაპირ, თანახმად 1022.1 პუნქტისა.

- გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1005.3.1 პუნქტის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით. გზა კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 7.6 მმ ფაქტორი. გამოთვლის შედეგად მიღებულია დასაშვებზე (1009.4 პუნქტით განსაზღვრულზე) ნაკლები სიგანის გზა-კიბე, თუმცა #1 კიბის თითო მარშის სიგანე უტოლდება 1130 მმ-ს, ხოლო #2 კიბის მარშის სიგანე - 1430 მმ-ს, რაც აკმაყოფილებს 1009.4 პუნქტის მოთხოვნას.

- ბაქნების სიგანე შესაბამისობაშია 1009.8 პუნქტის მოთხოვნებთან.
